

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების
(აკადემიკოსების) 2018 წლის არჩევნების
დროებითი დებულება**

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (შემდგომში აკადემიის) ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) არჩევნები (შემდგომში - არჩევნები) ტარდება „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის, აკადემიის წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად.

2. 2018 წლის დეკემბერში ჩატარდება აკადემიკოსების არჩევნები იმ ვაკანსიების დასაკავებლად, რომლებიც დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის (შემდგომში პრეზიდიუმის) 2018 წლის 25 სექტემბრის N 50 დადგენილებით.

3. აკადემიის პრეზიდიუმის განცხადება აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) არჩევნების ჩატარების შესახებ ქვეყნდება არჩევნებამდე არაუგვიანეს სამი თვისა პრესაში და განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე (science.org.ge).

4. აკადემიკოსთა არჩევნებისას, პრეზიდიუმის სათანადო დადგენილებით ცალკეულ განყოფილებებს შეუძლიათ ჩაატარონ გაერთიანებული კრება ამ განყოფილებებისათვის გამოყოფილი ყველა ვაკანსიის დასაკავებლად. განყოფილების (განყოფილებების) მიერთება მონათესავე განყოფილებასთან მოხდება იმ შემთხვევაში, თუ განყოფილებაში გაერთიანებული აკადემიკოსების რაოდენობა 5-ზე ნაკლებია.

5. აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს.

6. აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე, მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

7. აკადემიკოსების არჩევნების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში პრეზიდიუმს წერილობით ეცნობება დასახელებულ კანდიდატთა მონაცემები, ხოლო, რეგისტრირებულ კანდიდატთა სია ქვეყნდება პრესაში და განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე არაუგვიანეს ერთი თვისა არჩევნების ჩატარებამდე.

8. რეგისტრირებულ კანდიდატთა სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი ძირითადი მასალები (CV) თავსდება აკადემიის ვებგვერდზე.

9. აკადემიკოსობის კანდიდატთა საბუთების მიღება ხდება აკადემიის კადრებისა და სპეციალურ დავალებათა სამმართველოში, ხოლო მათი რეგისტრაცია - აკადემიის კანცელარიაში.

10. კანდიდატების წამოყენებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, არა უგვიანეს 5 დღისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კადრებისა და სპეციალურ დავალებათა სამმართველო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო მასალებს წარუდგენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განყოფილებებს, რომლებიც აღნიშნულ მასალებს გააცნობენ განყოფილებათა საერთო კრებებს (გაერთიანებულ კრებებს).

11. აკადემიის პრეზიდიუმი ამტკიცებს განყოფილებათა საექსპერტო კომისიებს დარგების მიხედვით არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სიის გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში.

საექსპერტო კომისიები განიხილავენ რეგისტრირებულ კანდიდატებზე წარმოდგენილ მასალას და ატარებენ ფარულ კენჭისყრას გამოცხადებულ ვაკანსიაზე კანდიდატისთვის შესაბამისი რეკომენდაციის მისაცემად.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები (გაერთიანებული განყოფილებები) მოისმენენ აკადემიკოსობის კანდიდატთა მოხსენებებს მათი სამეცნიერო მოვაწეობის შესახებ.

საექსპერტო კომისიების დასკვნები განყოფილებათა საერთო კრებებზე (გაერთიანებულ კრებებზე) კენჭისყრის წინ უნდა გაეცნოს საერთო კრების მონაწილეებს.

12. აკადემიკოსობის კანდიდატთა შერჩევისას განყოფილებათა საერთო კრებებზე (გაერთიანებულ კრებებზე) ხმის უფლებით სარგებლობენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები.

13. განყოფილება უფლებამოსილია მოაწყოს აკადემიკოსობის კანდიდატთა შერჩევა, თუ სხდომას ესწრება განყოფილების ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) სიითი შემადგენლობის სულ მცირე სამი მეხუთედი.

14. განყოფილებათა საერთო კრებებზე (გაერთიანებულ კრებებზე) სიით შემადგენლობაში არ ჩაითვლებიან აკადემიის აკადემიკოსები, რომლებიც არჩევნების დროს საზღვარგარეთ იმყოფებიან მივლინებით, აგრეთვე, აკადემიის აკადემიკოსები, რომელთა შესახებ მიღებულია პრეზიდიუმის სპეციალური გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შერჩევაში მონაწილეობისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

15. განყოფილებათა აკადემიკოსების სიით შემადგენლობას აზუსტებს განყოფილება და ამტკიცებს აკადემიის პრეზიდიუმი.

16. განყოფილებათა საერთო კრებებში (გაერთიანებულ კრებებში) მონაწილე აკადემიკოსები აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატს შეარჩევენ ფარული კენჭისყრით. აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატად შერჩეულად ჩაითვლება ის პირი, რომელიც მიიღებს ამ განყოფილების აკადემიკოსთა სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სამი მეხუთედისა.

17. აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატის შერჩევას განყოფილებათა საერთო (გაერთიანებულ) კრებებზე კენჭისყრის ბიულეტენებში შეყვანილ იქნება ყველა რეგისტრირებული კანდიდატი ანბანური წესით.

18. თუ კენჭისყრის პირველ ტურში კანდიდატებმა ვერ მიიღეს არჩევისათვის საჭირო ხმების რაოდენობა, ტარდება კენჭისყრის მეორე ტური, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში განყოფილებათა საერთო კრებების გადაწყვეტილებით – კენჭისყრის მესამე ტური.

კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სიითი შემადგენლობის ხმების ნახევარზე ნაკლებს, შემდგომ ტურებში ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

თუ მესამე ტურში ერთ ვაკანსიაზე შერჩეულია ორი ან მეტი კანდიდატი ხმების თანაბარი რაოდენობით, მათი არჩევის საკითხს წყვეტს აკადემიის საერთო კრება. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს აკადემიკოსთა სიითი შემადგენლობის ხმების მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ სამი მეხუთედისა.

აკადემიის საერთო კრებაზე კანდიდატთა მიერ გამსვლელი ხმების თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში ვაკანსია ჩითვლება გაუქმებულად.

თუ განყოფილებაში არჩევნების შედეგად ვაკანსია დაუკავებელი აღმოჩნდება, ჩაითვლება გაუქმებულად.

19. აკადემიის აკადემიკოსს ირჩევს აკადემიის საერთო კრება იმ კანდიდატთაგან, რომლებიც შერჩეული იქნებიან განყოფილებათა საერთო კრებების (გაერთიანებული კრებების) მიერ ფარული კენჭისყრით.

20. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები და სტიპენდიატები აკადემიკოსის არჩევისას სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით.

21. აკადემიის განყოფილებათა საერთო კრებებსა და აკადემიის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში კანდიდატის გვარის გასწვრივ არის სიტყვები „თანახმა ვარ“ და „წინააღმდეგი ვარ“, რომელთაგან კენჭისყრაში მონაწილე ხაზს გადაუსვამს ერთ-ერთს. ბიულეტენი ყოველგვარი აღნიშვნის გარეშე და ბიულეტენი, რომელშიც წაშლილია ან დატოვებულია ორივე სიტყვა „თანახმა ვარ“ და „წინააღმდეგი ვარ“ კონკრეტული კანდიდატის მიმართ, ჩაითვლება გაუქმებულად.

22. აკადემიის პრეზიდენტი მოახსენებს აკადემიის საერთო კრებას განყოფილებათა საერთო კრებების (გაერთიანებული კრებების) მიერ აკადემიკოსობის კანდიდატთა შერჩევის შედეგებს, რის შემდეგაც ფარული კენჭისყრით ტარდება აკადემიის აკადემიკოსების არჩევნები.

განყოფილებასა და აკადემიის საერთო კრებაზე საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას დაუშვებელია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს დასახმარებლად მოიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა არჩევნებში მონაწილე პირისა.

23. აკადემიკოსად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსთა სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სამი მეხუთედისა.

24. აკადემიის განყოფილებათა საერთო კრებებზე (გაერთიანებულ კრებებზე) და აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიის ნამდვილ წევრთაგან ირჩევენ ხმის დამთვლელ კომისიებს.

25. აკადემიის საერთო კრებაზე სიით შემადგენლობაში არ ჩაითვლებიან აკადემიის აკადემიკოსები, რომლებიც არჩევნების დროს საზღვარგარეთ იმყოფებიან, აგრეთვე, აკადემიის აკადემიკოსები, რომელთა შესახებ მიღებულია პრეზიდიუმის სპეციალური გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არჩევნებში მონაწილეობისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

26. აკადემიის წევრთა სიით შემადგენლობას ამტკიცებს აკადემიის საერთო კრება.

27. განყოფილებათა საერთო კრებებზე (გაერთიანებულ კრებებზე) და აკადემიის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრის ბიულეტენის მიღება დასტურდება ბიულეტენის მიღების სიაში ხელმოწერით.

თუ კენჭისყრაში მონაწილეს უნებურად გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, ჩააბარებს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც დააწერს მას „გაუფუჭებულია“, ჩამოაჭრის კუთხეს და ცალკე შეინახავს, ხოლო ამომრჩეველს გადასცემს ახალ ბიულეტენს.

28. ფარული კენჭისყრა ტარდება აკადემიის შენობაში, სადაც დგას დალუქული ყუთი და იმყოფებიან მხოლოდ ხმის დამთვლელი კომისიის წევრები.

ბინაზე ხმის მიცემის აუცილებლობის შემთხვევაში ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან გამოყოფს ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს ბინაზე კენჭისყრას. ბინიდან მოტანილი კენჭისყრის ყუთი იხსნება ძირითადი კენჭისყრის ყუთთან ერთად და მიმდინარეობს ხმების საერთო დათვლა.

29. განყოფილების ხმის დამთვლელი კომისიის ოქმებს ამტკიცებს განყოფილების საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

საერთო კრების ხმის დამთვლელი კომისიის ოქმებს ამტკიცებს აკადემიის საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

30. ხმის დამთვლელი კომისიის ოქმები, ფარული კენჭისყრის ბიულეტენებთან ერთად ინახება დალუქული კონვერტით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

31. არჩევნების შედეგები ქვეყნდება პრესაში და განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე.

32. არჩეული აკადემიკოსი არის შესაბამისი განყოფილების ნამდვილი წევრი აკადემიის საერთო კრების მიერ მისი არჩევის დღიდან და სარგებლობს მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით გათვალისწინებული უფლებებით.